№ 97 10 ენკენისთვე, პარასკევი 1866—1876 10 ენკენისთვე, პარასკევი № 97

დროება

რედაქცია
ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი
წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონით, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე"

მიიღება თფილისში,—გაზეთის რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში—„დროების" აგენტებთან.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა ე. ი. 1 ენკენისთვიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ—3 მანეთი. მთელი წლის ნომრები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი,—ღირს—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა—1 მან.

საქართველო

უკაცრავ მაჭახელას

I

სოცარი ბედი დაჰყოლია ჩვენს მწერლობას: ისე დღე არ გაივლის, რომ ჩვენ, ქართველებს, ახალი იმედი არ მოგვეცეს, მოშლიმარი, სულის ჩამდგმელი, წელის-გამმართველი. გვგონია, აი, გვეშველა, როგორც იქნა. მაგრამ ისე საღამო არ დადგება, რომ ესევე იმედი ხელში არ გამოგვილაყდეს, და მაცდურ სიზმრათ არ გარდაგვექცეს......

ამ ნაირათვე გამოგვილაყდა ჩვენ ის იმედი, რომელიც უფ. მაჭახელაძის დიპირებამ გულში ჩაგვინერგა. ათ წელიწადზე მეტია, რაც „დროება" გამოდის. იმას ამ ათი წლის განმავალობაში ბევრი მომდურავი გასჩენია, ბევრი მტერი, ბევრი მძაგებელი. უეჭველია, რომ ამათ გარდა, იქნება სადმე, საქართველოს რომელსამე კუნჭულში, „დროებას" ორიოდ-სამი მეგობარი ან მომადრიელეც უნდა ჰყავდეს. მაგრამ არც მტერს და არც მეგობარს, არც მძაგებელს და არც მაქებარს, ჯერ-ჯერობით ხმა არ ამოუღია რომ „დროების" მიმართულობა, ღვაწლი, ხასიათი და ნამყოფი კარგათ თუ ავათ გაესინჯოს, გაეზომოს, დაეფასოს და განემარტებინოს. ზოგი ერთს მცირედ სტატიას აიხირებდა, და იმის გულისთვის მთელს რედაქციას, ყველა მის თანამშრომლებს და სრულს მის შრომას უარ ჰყოფდა ან აძაგებდა. სხვას მეორე რომელიმე სტატია მოეწონებოდა, და ამის გულისთვის მთელი „დროება" ზეცამდი აჰყავნდა. არავის კი აზრშიაც არ მოსვლია ერთიანათ, სრულათ, საზოგადოთ ამ გაზეთის საზოგადო მიმართულობა და სრული ღვაწლი ცრთბაშათ და ხეირიანათ გაესინჯა.

მე, როგორც ბევრს სხვას, იმედი მომეცა, რომ ამ გვარს დაფასებას და გასინჯვას ველირსებოდით ჩვენ ეხლა, როცა უფ. მაჭახელაძემ „დროებას" ჰკითხა, ნებას მომცემთ „დროებაში" „დროებავე" გავსინჯოო. მე მეგონა, რომ უფ. მაჭახელაძე—რომლის ზოგიერთმა სტატიებმა ბევრს ჩვენში იმედი ჩაუდგა, რომ ჩვენს მწერლობას ერთი ახალი ნიჭიერი მწერალი მოემატაო,—გულდამჯდარათ და გონიერათ გასინჯავდა „დროებას", მის მწერლებს, მათ შრომას და მიმართულებას. კარგათ ვიცოდი, რომ ამ გასინჯვის შედეგი კომპლიმენტების გამოთქმა არ იქნებოდა, მაგრამ რა გინდ სასტიკი ყოფილიყო მისი კრიტიკა და მისი მსჯელობა, ქვ მაინც დაინახავდა ჩვენი საზოგადოება, რომ ამ გაზეთს, რომლის ცალ-ცალკე თაბახები ასე მალე ივიწყება და იკარგება, ერთი სული, ერთი გვამი და ერთი პირისახე ჰქონია, თუ ნიადაგ არა, ხანგრძლივათ ხომ მაინც....

ეს იმედიც გამოგვიფშუტდა, როგორც სხვა ბევრი. ამ გვარი გარჩევის და დაფასების მაგიერ, ჩვენ ხელში შეგვრჩა სტატია, დაწერილი ჩემზე. ძალა უნებურათ ამ სტატიაზე, და მაშასადამე ჩემზედ, ეხლა მეც უნდა ვთქვა რამოდენიმე სიტყვა.

II

ჯერ ერთი ეს, რომ ვინ მე, და ვინ „დროება?" მართალია, მე ხშირათ მიწერია „დროებაში", მაგრამ ყველამ იცის, და ვინც არ იცის, იმას „დროების" რედაქცია დაარწმუნებს, რომ მე არასოდეს არ მქონია ხელში ამ გაზეთის რედაქტორობა. მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ, როცა უფ. ს. მესხი თფილისში არ ყოფილა, მე შემიდგენია რამოდენიმე ნუმერი ამ გაზეთისა. ჩემს საკუთარს მიმართულებას, ჩემს აზრებს „დროების" რედაქციაში არასოდეს არ ჰქონია რედაქტორული ან შესამჩნევი გავლენა. ამ ნაირი გავლენა გაზეთში ჰქონდა, აქვს და ექნება მარტო უფ. ს. მესხს. მე „დროებას" ყოველთვის ვკითხულობდი და ვკითხულობ ისე, როგორც თვით უფ. მაჭახელაძეც, ესე იგი გაზეთის დაბეჭდვის შემდეგ. მაშასადამე ყოველ სინიდისიან მსაჯულის თვალში მე პასუხის მგებელი ვარ მარტო იმ სტატიებისა, რომელთ ქვეშ ჩემი სახელი ან ფსევდონიმი აწერია. ერთი სიტყვით მე ვიყავი და ვარ ერთი უბრალო თანამშრომელი გაზეთისა, სწორეთ იმ გვარივე, როგორიც ამ უკანასკნელ დროში თვით უფ. მაჭახელაძეა. სინიდისიანობა იქნება, ჩემის მხრით, „დროებაზე" მსჯელობის გამოთქმა რომ მოვინდომო და უფ. მაჭახელაძეზე ვილაპარაკო, იმას „დროების" მიმართულობა მივაწერო და „დროებას" მისი?

ვისაც ცოტაოდნათ უდევნებია თვალი ჩვენი მწერლობისთვის, იმან კარგათ იცის, რომ ძლიერ ბევრს აზრებში „დროების" რედაქცია მე არ მეთანხმება, და მე „დროებას" არ ვეთანხმები. ვისაც ეს არ ესმის, იმას ალბათ ორიოდ-სამი სტატიის მეტი არა წაუკითხავს რა, არც ჩემი ნაწერისა, არც „დროებისა." მხლა ვიკითხავ, გონიერებაა ამ გვარი ორიოდ-სამი სტატიის წაკითხვის შემდეგ მწერალზე და გაზეთზე აზრის შედგენა და მსჯელობის გამოთქმა? ეს, მკითხველო, თქვენ გასაჯეთ.

„დროებაში" ამ ათი წლის განმავალობაში მიიღებდენ მონაწილეობას იმისთანა მწერლები, როგორც აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, დ. მიქელაძე, ს. მესხი,—იშვიათი თანამშრომლები რომ არ მოვიხსენიოთ. ნუ თუ ამდენი და ამისთანა მწერლების შრომას, ათი წლის განმავალობაში, ისე უნამყოფოთ და უმნიშვნელოთ ჩაუვლია, რომ ერთი სიტყვითაც არ უნდა მოხსენებულიყო მათი ღვაწლი და ნაწერი იმ სტატიაში, რომელიც „დროებაზე" სჯის გამოთქმას აპირებდა? ნუ თუ ხეირიან კრიტიკოსს არ უნდა დაენახა, რომ თითოეულ ამ მწერლებთაგანს თავისი საკუთარი კილო, თავისი საკუთარი ფერი და მიმართულება აქვთ, ისე, რომ არც ერთი მათგანი ჩემი სიტყვების გამმეორებელი და ჩემი მიმართულების გამრცელებელი არ არის? ვეიჩვენებს ეს გარემოება კრიტიკოსის გამჭრიახობას და მის საფუძვლიანობას? ეს ღმერთმა იცის.

მაგრამ იქნება მითხრან, უფ. მაჭახელაძეს „დროების" მაგიერათ თვითონ თქვენზე, ნიკოლაძეზე, უნდოდა ლაპარაკი, და სწორეთ თქვენზე დაწერა სტატიაც, ისე მიიღეთო. არა. ჩემს ლიტერატურულს წარსრულში ვერც ერთი გონიერი კაცი ვერ დაინახავს, რომ მარტო „დროებაში" მდგომარეობდეს ჩემი მიმართულება ან შრომა. მე მიწერია ბევრს სხვა გაზეთებში და გამოცემაებში, და ვისაც სინიდისიანათ ჩემი მოქმედების ან ნაწერის დაფასება ჰსურს, იმან ყურადღება უნდა მიაქციოს არა თუ მარტო „დროებას," მაგრამ იმ სტატიებსაც, რომელნიც მე „კრებულში," „Тифлисскій Вѣстникъ"-ში და ზოგიერთ სხვა გამოცემაებში დამიბეჭდვინებია. ლიტერატურული შრომა ქვაბი ხომ არ არის, რომ მისი ერთი ლუკმის დალეჭით შესაძლო იყოს მთელი ქვაბის გემოს გაგება. მაშასადამე თუნდ მარტო ჩემზე რომ იყოს დაწერილი უფ. მაჭახელაძის სტატია, მაშინაც ცხადია, რომ ახირებულ თვისებათ უნდა მივიღოთ კრიტიკოსში კაცის მწერლობის დაფასება მისი მარტო ორიოდე სტატიის წაკითხვის შემდეგ.

III

რასაკვირველია, რომ ამ გვარი საფუძვლიანი დამზადებით კრიტიკოსს ხელი უნდა მიეწოდნა არა ჩემი ნაწერებისთვის, არა „დროების" კოლექციისთვის, არამედ იმ იარაღისთვის, რომლითაც ამდენს ხანს ჩვენ გვებრძვიან ის პირები, რომელთაც არც მიმართულების გაგება შეუძლიანთ, არც ნაწერის დაფასება, არც აზრების გაგება და დარღვევა. ჩვენი ახალგაზრდა კრიტიკოსიც მიეარდნია ჩვენს, ან უკეთ ვთქვათ, ჩემს პირად ცხოვრებას.

„მხოლოდ შორიდამ რომ ვუყურებდი, მაშინ მჯეროდა ეს (კეთილი) სიტყვები, სწერს ის. მის მწერლების მოქმედებას რომ დავაკვირდი, ცოტა უფრო ახლოს რომ შევხედე, მაშინ კი წინააღმდეგი ვსცანი."

დიდათ ვსწუხვარ, რომ უფ. მაჭახელაძეს ამ სტრიქონების დაწერის დროს ან ვერ გაუგია მათი მნიშვნელობა, ანა და მკითხველების შეცდენა არ დაზარებია. საქმე იმაშია, რომ ყველა ჩვენი ცილის მწამებლებს, რომელთაც ძალა არა აქვთ ჩვენი აზრები დაარღვიონ და ჩვენ მიმართულებას რამე დააკლონ, ნიადაგ იმას იმეორებენ: „ესენი, მართალია, კარგათ სწერენ, მაგრამ რომ იცოდეთ რა კაცები არიან, ზიზღი მოგივათო!" ამის თქმა უნდოდა უფ. მაჭახელაძეს? თუ ამისი გამოთქმა სურდა, ის მაინც უნდა დაემატებია, სიმართლის გულისთვის, რომ იმას ახლოთ ჩვენ არასოდეს არ უნახავართ, რომ ის ჩვენ სწორეთ იმოდნათ გვიცნობს, როგორც თითოეული ჩვენი მკითხველი, ესე იგი ჩვენი ნაწერებით, და არა პირადათ. პირადათ, ხომ, ჩვენ არც კი გვინახავს ერთმანერთი. და თუ იმას ამ გვარი ცილისწამების მკითხველის გულში ჩანერგვა არ უნდოდა, მაშინ იმას თავისი აზრის დასამტკიცებლათ ორიოდე ჩვენი „მწერლური მოქმედება" მაინც უნდა ჩამოეთვალა ისეთი რომელნიც მის აზრს ამტკიცებენ, „აცნობებენ წინააღმდეგს," ესე იგი ამტკიცებენ, რომ სიტყვით—ჩვენ საქართველო გვიყვარს, და საქმით კი—გვძულს. მგონია, რომ ამ აზრის დასამტკიცებელი იმას თავის სტატიაში არა მოუყვანია რა.

IV

უფ. მაჭახელაძე სწერს შემდეგ:

„ამათ („დროების" სულის-ჩამდგმელების) შორის ყველა იცნობს იმ კაცს, რომელიც თავის თაობას სახელს აძლევს, რომელიც დღეს დააყენებს ვინმეს თავის დროშის ქვეშ და ხვალ გააგდებს. ყველა იცნობს ამ „დიქტატორს", მაგრამ ვინ იცის რამ დაუმსახურა მას ეს დიქტატორობა? რა არის მისი თვისება, რომელიც მას სხვის თავში აყენებს?"

პირველათ არ არის, რომ მე ეს სიტყვა მესმის—დიქტატორია ნიკოლაძეო. მკითხველს იქნება ეს სიტყვა საშინელ დანაშაულობათ მიაჩნდეს, კაცის კვლათ ან ღვთის გმობათ. ამისთვის ავხსნი ამ სიტყვის მნიშვნელობას. დიქტატორს იმ კაცს უძახიან, რომელსაც რომელიმე საზოგადოება ან ქვეყანა განუსაზღვრელ უფლებას აძლევს დროებით ან სანიადაგოთ: გვმართე, გვიბრძანე, გზა გვიჩვენე და ჩვენ შენს სიტყვას ხმაამოუღებლათ, უწინააღმდეგებლოთ ავასრულებთო. მოხდება ხოლმე, რომ კაცი, რომელსაც კარგი და ძლიერი ჯარი ჰყავს, და რომელსაც ეს ჯარი სრულიად უჯერის, ძალათ ხდება რომელიმე ხალხის დიქტატორათ. ნაპოლეონ პირველი ერთ ხანს დიქტატორი იყო, გამბეტაც, გარიბალდიც. თვითონ დიქტატორობა არც ცუდია, არც კარგია, თავის თავათ. მისი სიავე ან სიკარგე გარემოებებზე ჰკიდია, კაცზე, საქმეზე, და არა მარტო დიქტატორობაზე. ფრანკლინიც დიქტატორი იყო, მაგრამ მის დიქტატორობას მისი ქვეყნისთვის ავის

მაგიერ ბევრი კარგი უქნია, მაგრამ მე აქ სრულიადაც არ მინდა დავამტკიცო დიქტატორობის სიკარგე ზოგიერთ შემთხვევებში და გარემოებებში. მე მარტო ის მინდა, შევნიშნო, ვინ მომცა როდესმე დიქტატორობა, ვინ რა დამიჯერა, ან ვინ შემამჩნია დიქტატორობის სურვილი? ნუ თუ კრიტიკოსმა ბრიყვლულად უნდა გაიმეოროს, გამოუკვლევლად სულელური სიტყვები, წარმოსთქმულნი ოროდ მახინჯისაგან? მასაქეთია რაც ქვეყანა დაარსებულა და მანამდი, სანამ ქვეყანა არ მოიშლება, ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება, რომ ჭკუას და სიმარჯვეს გავლენა აქვს იმათზე, ვისაც ნაკლებათ აქვთ ეს საუნჯენი. ათასი რომ იხტუნოთ, ამ ბუნების კანონს თქვენ ვერ მოსპობთ, როგორც იმ კანონს ვერ მოსპობთ, რომ დედა-მიწას მზე მიიზიდავს და მცირედ ბუნდლას— დიდი საგანი. მაგრამ ეს მიბრძანეთ, როდის ვთქვი მე, უსათუოთ ჩემ ჭკუაზე უნდა იაროთ-თქო, როდის მოვინდომე ამ გვარი დიქტატორობის ხელში ჩაგდება, ან რათ მინდოდა? ურიცხვი პატიოსანი კაცის მოვალეობაა ეცადოს გავლენა შეუძინოს და განახორციელოს ცხოვრებაში თავისი აზრი და მიმართულება. ბლახაკი და უსუსურია ის, ვინც არ ეძებს თავის აზრების გამარჯვებას და გაძლიერებას. მაგრამ ის მიბრძანეთ, როდის და ვის მოვთხოვე ჩემს ჭკუაზე სიარული, ვის დავატანე ძალა ჩემს ამხანაგებში ან მოძმეებში? უამისოთ განა დიქტატორობა იქნება?

დიქტატორობა რომ მსურვებოდა, განა ვისმე ნებას მივცემდი, რომ „დროებაში“ ერთი სტრიქონი დაბეჭდილიყო ისეთი, რომელსაც მე არ ვეთანხმებოდი? „დიქტატორი“ განა სხვის რაზმში ჩადგება როდესმე ან სხვის მიმართულებას დაემორჩილება? რათ ავიტანდი მაშინ მე იმ მდგომარეობას, რომ „დროებაში“ ან „Тифлисскій Вѣстникъ“-ში ხშირათ იმისთანა აზრებს ავრცელებენ ამ გაზეთების რედაქტორები და თანამშრომელები, რომელთაც მე სრულიადაც არ ვეთანხმები? „ბლახათ გიქნიათ, თუ დათანხმებულხართ,“ აი რა უნდა მითხრას ამაზე უფ. მაჭახელაძემ, და რომ მითხრას, მართალს იტყვის. მაგრამ მე ამას უპასუხებ, რომ როცა ჩვენი უთანხმოება რამე მძიმე საგანს შეეხებოდა ხოლმე, მე ძალას კი არა კაცს ვატანდი, დიქტატორულათ, არა, თავს ვღუნავდი და კარში გავდიოდი: თქვენ იცით და თქვენმა აზრმა-თქო. და როცა მე ორჯერ მომიხდა ამ გვარათ გაზეთის დატოვება, რამდენიმე ხნის განმავალობაში, მაშინ, უფ. მაჭახელაძისთანა საფუძვლიანი კრიტიკოსები გამოდიან და სწერენ: „უკეთესი დამტკიცება იმისა, რომ ნიკოლაძეს თავისი ქვეყანა არ უყვარს, ის არისო, რომ ის ხან შრომობს, და ხან განზე დგასო. როცა ქეიფი მოუვა სწერსო, და როცა არა—მიყრუებულიაო.“ ეს ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, როგორ ათანხმებთ დიქტატორობას ამ გვარ გამტყუნებასთან.

საკვირველ მდგომარეობაში ვარ მე სწორეთ, და სიცილის ღირსია ის სამდურავი, რომელიც მე ჩვენ ახალგაზდებისგან მესმის. როცა მე ვშრომობ და ვსწერ, ყველა გულ-ხელ დაკრეფილია, ყველა იმას ყვირის: „ნიკოლაძე დიქტატორია, თავის მეტი ქვეყანაზე არავინ უყვარს, თავის მეტს ქვეყანაზე ადგილს არავის აძლევსო!“ არის, ამაზე, ერთი უშველებელი ლანძღვა და თრევა. მობრძანდით, ბატონებო, იშრომეთ, იმოქმედეთ, ქვეყანა დიდია, შრომის ველი ვრცელია, ადგილი და საქმე ყველას გვეყოფა. მაგრამ არა. ყველა იმას ყვირის ნიკოლაძე დიქტატორიაო. მაგრამ როცა მოხდება, რომ ეს დიქტატორი რომელიმე მიზეზის გამო თავის ასპარეზს და მოქმედებას სტოვებს, მაშინ ერთბაშათ სხვა ნაირი ლანძღვა და ღაღადი ისმის: „ნიკოლაძე მოღალატეა, ამისთანა საჭირო საქმე მიატოვა, ნიკოლაძე მხდალია, საქმეს გაექცა! ნიკოლაძეს საქმის სიმტკიცე არა აქვს!“ და სხვ. და სხვ. და სხვ.

თუ მე მართლა დიქტატორი ვარ, თქვენ კი არ უნდა მლაძღავდეთ საქმის მიტოვებისთვის, უნდა გახარებული იყოთ და უნდა მემადლიერებოდეთ, რომ ქვეყანა ჩემისთანა დიქტატორისაგან განვათავისუფლე. თუ ჩემი შრომა საქმეს აკლდება და საქმისთვის გამოსადეგია, დიქტატორი ვიყო მე, გინდ უბრალო გულ-ლბილი მშრომელი, თქვენ უნდა გიხაროდეთ, როცა ვშრომობ, და არ უნდა მდევნიდეთ შრომისათვის. ყოველს შემთხვევაში ერთს გზას მაინც უნდა დაადგეთ. ან იმისთვის უნდა მკიცხავდეთ, რომ ვშრომობ, ან იმისთვის, რომ არ ვშრომობ. ორივე შემთხვევაში გაკიცხვა კი, უეჭველია, თქვენს საკუთარს გონების დაუდგრომლობას გვაჩვენებს, და სხვას კი არაფერს.

უფ. მაჭახელაძეს, როგორც თვითონ ის სწერს, ვერ გაუგია ის ნაწილი ჩემი „სალამისა,“ სადაც მე ამ გარემოებაზე განგებ ნისლიანათ ვსწერდი. მაშ აუხსნი.

საქმე იმაში იყო, რომ ზოგიერთ ყმაწვილებს, რომლების აზრს „დროების“ რედაქცია (და არა მე) ერთობ აფასებდა, არ მოსწონდათ ჩემი თანამშრომლობა „დროებაში.“ რისთვის არ მოსწონდათ, რით, ეს ღმერთმა და იმათმა სინიდისმა იცოდეს. საქმე ისე წავიდა, რომ ან მე უნდა დავრჩენილიყავი „დროებაში,“ — და მაშინ „დროება“ მათ სიმპატიას დაჰკარგავდა, ან ისინი — და მათთვის ჩემი თანამშრომლობა სათაკილო იყო. დიქტატორი, რასაკვირველია, იტყოდა: ფეხებზე მკიდია ის ყმაწვილებიო, და ძალით დარჩებოდა. მე კი ვარჩიე თავის დანებება და განზე გადგომა. ეს არის განა დიქტატორობა?

— რათ დატოვეო? მკითხავს უფ. მაჭახელაძე; თუ შენ შენი ქვეყნის სამსახური გინდოდა, შენ მოვალე იყავიო შენს ადგილზე დარჩენისაო.

მართალია, მაგრამ მე არა მგონია, რომ ერთს კაცს, რაგინდ კარგი და ჩინებული იყოს ის, მსხვერპლათ უნდა მიეცეს მთელი ახალგაზდობა ან მისი უკეთესი წარმომადგენლები. მე დიდი იმედი არა მაქვს ჩვენი მამულის მომავალისა, მაგრამ ის კი მტკიცეთ მრწამს, რომ ჩვენი მდგომარეობა, ჩვენმა ახალგაზდობის მტკიცე შეერთებულმა შრომამ უნდა გაამჯობინოს... ამ შეერთებული შრომის სიმტკიცისთვის საჭიროა, რომ შიგ შინაგანი უთანხმოება და განხეთქილება არ არსებობდეს. იყო დრო, როცა მე მეგონა, რომ ჩვენს ახალგაზდობაში შესაძლებელი იყო ამ დროითვე ამ გვარი შეერთების დაფუძნება. ამ იმედით დავიწყე მე შრომა ჩვენს მწერლობაში, ამ იმედით ვსდევნიდი მე ყველაფერს, რაც ამ შეერთებულს შრომას შემდეგში, ჩემის აზრით, გზაზე მოწინააღმდეგეთ უნდა დახვედროდა. მაგრამ ეს შეერთება კი მაინც ვერ მოხერხდა. ყველანი იმას მიყვიროდა, მაშინ, რომ ამ შეუერთებლობის მიზეზი შენი დიქტატორობააო. აი, ამ მიზეზით მივატოვე მე ჩვენს მწერლობაში შრომა, და ვთქვი:—ბატონებო, რადგანაც ჩემი პიროვნება ამისთანა ჩინებულს საქმეს უშლის და აბრკოლებს, მე ჩემი თავი ფეშკაშათ მომირთმევია, განზე გაუდგები და სიტყვას გაძლევთ თქვენ წინააღმდეგათ ჩემდღეში არ შევიქნე, ოღონდ კი შეერთდით და რამე გაარიგეთ-თქო. როგორ ჰგონია უფ. მაჭახელაძეს, ასე მოიქცეოდა დიქტატორი, ან ცუდი მოქცევა იყო ეს ჩემის მხრით?

გავიდა ორი წელიწადი, მე ჩემთვის ვაყავი, არაფერში არ ვერეოდი და მარტო-ხელათ ვშრომობდი ხან შინ და ხან გარეთ, ხან სულ არაფერს არ ვშვრებოდი. შედგა მაშინ ის „შეერთება“ რომლის დაუარსებლობას ყველანი მე მაბრალებდა? გარიგდა რამე? წავიდა წინ ჩვენი მწერლობა და გაძლიერდა მისი გავლენა?

იმ პირებმა, რომელნიც ჩემს პიროვნობას აბრალებდნენ უწინ „შეერთებული შრომის“ დაუარსებლობას, მოთხრეს, რომ სჯობს ხელ-ახლავ და უწინდლურათ ერთათ მივსდგეთ საქმესო, რაც იყო, იყოო. და მე ხელ ახლავ ულელში გავები. ეს იყო გამოთქმული ჩემს „სალამში,“ ასე გაიგო „სალამი“ ყველამ, ვინც ცოტაოდნათ მაინც იცნობდა ჩვენი მწერლობის გარემოებას. თუ ეს უფ. მაჭახელაძეს ვერ გაუგია, ეს იმას ნიშნავს, მარტო, რომ ის ბრძნულათ სჯის იმისთანა საგანზე, რომელსაც ერთობ ცოტათ და ერთობ შორიდამ იცნობს, თუმც კი ამბობს, „ახლოდამ“ გავიცანიო.

ნ. ნიკოლაძე.

(დასასრული იქნება)

დღიური

მაკარიის იარმუკიდამ (ნიჟნი-ნოვგოროდიდამ,) იწერებიან, რომ წლევანდელს იარმუკაზე საზოგადოთ კარგი ვაჭრობა ყოფილა; მხოლოდ კავკასიის საქონელს კი ცოტა მუშტარი ჰყავნდაო, განსაკუთრებით ცოტა მყიდველები ჰყავდა კავკასიის ბამბასა და ენდროსაო. ღვინო, ლამპის ზეთი და აბრეშუმი კი კარგად გასაღდაო.

* * *

ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდამ ამბავი, რომ სვანეთში მოკლულთ უფ. გრინევსკისა და თ. ა. მიქელაძის გვამი, როგორც იქნა, ამოუტანიათ იქ და ამ თვის 5 დაუსაფლავებს დიდის ამბით ერთს აქაურს სასაფლაოზედაო.

ამ ამბის მოყვანის შემდეგ „თფილისის მოამბე“ ამბობს, რომ თ. ა. მიქელაძის ობლებსა და ქვრივს ცოტაოდენი შთამომავლობითი მამული დარჩათო, და უფ. გრინევსკის ქვრივსაც ქუთაისის მახლობლად დარჩა კარგი კეთილ-შეძენილი მამულიო.

* * *

გურიიდამ გვწერენ, რომ გასული აგვისტოს თვეს 22-ს სოფ. ძიმითს, სასოფლო შკოლაში უფ. ზ. წერეთლის ორ-მოქმედებიანი კომედია „ჯიბრი“ წარმოუდგენიათ. სოფლის წესზე წარმოდგენა ძალიან კარგათ წავიდაო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი. ბილეთები აბაზათ, ორ და ერთ შაურად ისყიდებოდაო, საზოგადოება ბლომათ დასწრებია, თავად-აზნაური და გლეხობა, რომელთაც ძალიან მოეწონათ ამ გვარი პირველად ნანახი შექცევაო. წარმოდგენიდამ შვიდი მანეთი დარჩენილა, რომელიც შკოლის სასარგებლოდ შეუტანიათ.

აქაურ შკოლების მასწავლებლებს განზრახვა აქვთო, რომ ამისთანა სპექტაკლები უფრო ხშირად და ბევრ ალაგას გამართონო.

* * *

გურიიდამვე გვატყობინებენ, რომ კარგა ხანია, რაც აქ ქურდობა და ავაზაკობა იშვიათად ისმოდაო, რადგან ხევის-თავები გვიცავდნენო. მაგრამ ახლა კი, ამ უკანასკნელ დროს, როგორღაც ცუდ-კაცობა ერთობ გახშირდაო. ამ გარემოების მიზეზად, ჩვენი კორრესპონდენტი თ. გ. მ—ძეს ხდის. საცა ავაზაკი ხელხია, რაც მოპარული რამ არის, საცა კაცის-მკვლელი და ქურდია, სუყველა ამ თავადის სახლში იმალება, ყველას აქ გაუჩენია თავ-შესაფარიო. ეს მთელმა ჩვენ სოფელმა, ნიგოითმა, და გურიამაც იცისო, არც პოლიციისათვის არის დამალულიო, მაგრამ კაცი არ არის, რომ ამ გვარ მოქმედებას ყური ათხოვოსო.

* * *

სომხურს გაზეთებში იწერებიან, რომ მომავალის წლიდამ პეტერბურღში ახალი სომხური ჟურნალი გამოვაო, სახელად „ლუმა“, რომლის რედაქტორად იქნებაო ახალგაზდა პედაგოგი ფილიპ მართანიანი.

* * *

ამ რამდენიმე დღის წინათ, უფ. ყალამქაროვს ხუთი წლის ვაჟი ადუღებულ წყლის ქვაბში ჩაუვარდა, სულობით გაიფუფქა და იმ საღამოსვე მოკვდა კიდეც.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქიზიყი, 23 აგვისტოს. (დასასრული). ერთი უმთავრესთაგანი საშუალება ყმაწვილების ხასიათის გაუმჯობესობისა და აღზრდელ-მოქმედებისა არის კლასსის დისციპლინა. მღვდელ-ბლაღოჩინების შკოლებში სხვა ნაირი დისციპლინა იარებოდა. იმათ დისციპლინას ლინეიკა და მწვანე როზგები ასრულებდნენ.

ამის მიხედვით დღესაც ჩვენში ეშინიან არამც თუ კლასსში დისციპლინის დაარსებისა, სახელის გამოთქმისაც. ისინი თავს არ იდებენ, რომ დისციპლინის ვალი და მოთხოვნილება გადარევით ესმით. დისციპლინა თვის ნამდვილ მნიშვნელობით გარეგანი წესი, სალდათური გაწვრთნა არ არის. არც ის წესებია, თუ რანაირათ გადაუბრუნდ-გადმოუბრუნდი, თავი და წელი რანაირათ მოიხარო და სხვ.

სადაც მკვდარი მიჩუმება და ძალათი წესიერება მეფობენ, იქ დისციპლინა არ არის.

ნამდვილი შკოლის დისციპლინა არის ცოცხალი წესიერება შკოლისა, — ზნეობითი ამაღლება ბავშვების ბუნებისა მასწავლებელის ღირსების ძალით. სადაც განტევებულია ცოცხალი და გულწრფელი მითვისება მასწავლებელ და მოსწავლეთა

შორის იქ დისციპლინა ვერ იგვარების, რაც უნდა ჭკვიანათ და რიგიანათ ყმაწვილები დასხათ სკამებზედ. თუ ყმაწვილებს არა აქვთ მასწავლებელის სიყვარული, მინდობილობა, და მითვისება, შკოლაში დისციპლინა ვერ დაარსდება, რაც უნდა ყმაწვილები გამგონნი იყვნენ და სიმტკიცით ოსტატის ბრძანებას ასრულებდნენ. მღდელ-ბლაღოჩინების შკოლებს წკვლები და როზგები ბლომათ ჰქონდათ, დისციპლინასა კი მოკლებულნი იყვნენ.

ეხლანდელ შკოლებში დისციპლინის მიზანი ყმაწვილის პიროვნობის ზნეობითი ამაღლებაა; მისი შინაარსი—ყმაწვილის ზნეობითი მხარე და მთელი სულიერი აგებულობაა; საშუალება და ფორმა—გაფთხილება და წინამთქმელობა. ცემა-ტყება და სხვა ამ გვარი დასჯა და დანაშაულის გადახდომა, რომელიც კაცს აკოჭლებს და არეგვენებს ყველაფერში, ეხლანდელ შკოლას აღარა სწამს ბავშვების სწავლის წარჩინებისთვის და ყოფა-ქცევის გაუკეთესებისთვის.

ეხლანდელ შკოლას აღარა სჭირს ცემა-ტყეპის დახმარება, რადგანაც ყმაწვილები კლასსში არ გიჟობენ; არ გიჟობენ იმიტომ რომ ყოველთვის საქმეში არიან გართობილნი, საქმეს ეჭიდებიან, რადგანაც გადაცემული ეყურებათ და ხალისიანათ იხსომებენ.

ეხლანდელი შკოლები ბლაღოჩინიათს არა გვანან, მაგრამ სახელის გამოცვლა საკმაო არ არის: ახალ-მოწყობილ შკოლებმა უნდა დაუნახავი აქამდის ძალა ჩვენ ხალხს დაანახვონ. ჩვენი სიცოცხლე, სახლი და კარი შკოლაა.

შკოლაში ყმაწვილი სასახლოთ ემზადება. იქ იმნაირათ უნდა გაიხსნას, გავარჯიშდეს ყმაწვილის ჭკუა-გონება, რომ ცხოვრების მოვლინებებმა ვერ დაჩლუნგონ. შკოლამ უნდა ყმაწვილს ჩაუნერგოს იმისთანა ჩვეულებეები, რომ საცხოვრებელ გაჭირებეების და მოთხოვნილების გამოცენა ადვილათ შეეძლოს. ბონება-გახსნილი, მიჩვეული თვით-მოქმედებას, ყმაწვილი, რომელშიაც ცოდნის-სიყვარული გაღვიძებულია, მამა-პაპურ ჩვეულებაების კანონებზედ ცხოვრებაში ვერ დაენდობა და სასოფლო წესებს და საქმეების წარმოების წყაროს ადვილათ გამონახავს. ძარგათ ვიცით, თუ რა არის ხალხის იდეალი და შკოლიდგან რას ელის.

ამის გვარად ეხლანდელ შკოლებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ქართული შკოლა არის იურიდიკული ძალა უფრო სხვათა შორის. როდესაც შკოლებში სასოფლო „პოლოჟენიებს“ და სხ. სასოფლო საქმეების შესახებ კანონებს ყმაწვილები გაიცნობენ, მაშინ და მარტო მაშინ ჩვენი შკოლები ადრე მიახწევენ ახლოველ მიზანს და დაკმაყოფილებენ გაჭირებულ-დროებითს მოთხოვნილებას. ჩვენ ხალხს ბევრი უფლება და ნება აქვს მიდგენილი, დასკვნაში კი ყველაფრის მოკლებული მონა და პირუტყვი გამოდის უცოდინარობის და უძეცრების გამო. წინაალმდეგ მირგინებულ ნების კანონების ძალით, ჭიზიყური კაცი სახარჯო და სხვა სასოფლო საქმეების წარმოებაში მონაწილეობას ვერ ილებს. ჩვენი კაცის მომავალი სიკეთე და იურიდიკული განთავისუფლება დამოკიდებულია შკოლების სწავლის წარჩინებაზედ და ამ უკანასკნელებმა უნდა უკეთესი და სასურველო მომავალი დაბადონ ახლო ხანის იურიდიკულ საზღვარში.

აქედგან ის კი არა ჩანს, რომ ჩვენ შკოლებში სასწავლებელ საგნათ კამერალიური მეცნიერებანი შეიტანონ; აქედგან მარტო ის გამოდის, რომ ჩვენმა შკოლებმა ყმაწვილები გონიერულათ უნდა გააცნონ სოფლის ხალხისთვის მირგენილი უფლებები და დაკანონებული თანამდებობანი.

უსწავლელ კაცმა მარტო ის იცის, რასაც სხვა ეტყვის, წაუკითხავს, ან გაიგონებს საღმე; ნასწავლი კი ყველაფერს თითონ გადაიკითხავს და გაიგებს. თვითმსჯელნი და მოქმედნი ნასწავლები გამოვლენ მარტო იმ შკოლებიდგან, სადაც მასწავლებლები პირველ-დაწყებითვე ყმაწვილებს შესმენითი წერა-კითხვას ასწავლიან. ნახევარ თაბახი მოწერილი ქაღალდი, რომელიც ეხლა ჩვენ გლეხს ქრთამებს და გადასახადს აძრობს და გულს უხეთქავს, ნასწავლ სოფლის გლეხისთვის ცხადი იქნება. უკანასკნელს გული ძგერას არ დაუწყებს, როდესაც თვალ წინ ხედავს ჩაფრის ხელით მოტანილ ბრძანებას—ის სოფელში დაუფლებული და გონიერული სოფლის წევრია. ბლაღოჩინიანთ შკოლებს ვერაფრის დავალებას ვერ მიანდობდით. ისინი სახლ-კარ გამართულებით, დაწესებულებეების წყობით, სწავლის გამართვით, საქმის ერთგულობით ეწინააღმდეგებოდნენ ყმაწვილის გონების გასხნას.

ეს წმინდა და სამღვთო ვალი არის ვალი ეხლანდელ შკოლებისა. ამათ ბევრი, ძრიელ ბევრი დავალება აქვთ. და კიდეც აღასრულებენ თავის დავალებულ თანამდებობას და მიზანს, მალე მიადგებიან თვინიერ მომზადებით, საქმის ერთგულებით, ბავშვების თბილი სიყვარულით და დედ-მამის ხათრით. ჩვენი მასწავლებლები თავის სწავლას სხვათა შორის განაგრძებენ და გვარიანათ შეითვისებენ ხშირათ დაწესებულ კრებებით. წელს კრება არ ყოფილა; თუმცა ძრიელ სასარგებლო და საჭირო იყო, ერთი მაინც რომ კურსის ხელმძღვანელს მასწავლებლებთან მეთოდებზედ მოელაპარაკნა და მასთან რუსულ ენის შესწავლის მეთოდაზედ ქართულ შკოლებში.

აქამდისინ ჩვენ შკოლებში რუსული ენის სწავლება ბუნებითის ენის მაგვარათ მიდის. ამ ანორმალურ მოვლინების დახმარებით ქართულ სასწავლებლებში—სასოფლო შკოლებშიც რუსული ენის შეწავლა კუს ნაბიჯით ძიბობლავს. სოფლებში კიდენ ხომ სრულებ ვერ მოიპოვება რუსული ენის მცოდნეკაცები.

ალექსანდროვის ინსტიტუტში, სადაც მასწავლებლები ემზადებიან ჩვენ შკოლებისთვის, სრულებით არ იხსენებენ არამც თუ უცხო ენის შესწავლის მეთოდებს, რუსული ენისასაც ქართულ და სხვა ჩვენებურ შკოლებში შესწავლისას. ეს ნაკლულევანება იმოტენათ მავნებელია ჩვენის შკოლებისთვის, რომ საჭიროა ამაზედ ცალკე ლაპარაკი. რუსულ ენის შესწავლას ჩვენში საცხოვრებელი, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ცხოვრების პირობები იმნაირათ უფლებენ, რომ მთელი სოფელი იძულებულია ერთი გამოგზავნილი ჩინოვნიკის ენა შეისწავლოს, რომ იმას ელაპარაკოს, და არა ერთმა ჩინოვნიკმა მთელი სოფლის ხალხის ენა. ამისთვის ჩვენში რუსული ენის შესწავლით ჩვენი შკოლები იურიდიკულ მიზნის მიხწევას გაიადვილებენ. გამომუშავება ხელრიანათ მეთოდისა ჩვენი შკოლებისთვის ჩვენ სასოფლო მასწავლებლების პრაქტიკას მეუძლიან, თუმცა ჯერ ამათ ჭირ—ნახულისა გვარიანათ არა შეგვიტყვია რა ამ საგანზედ.

P. S. როდესაც შკოლებს ეშინჯავდით, სოფ. მირზანის შკოლაში შევხვდით გამომძიებელს, ჩამომხდარ თავის ჩაფრებით. შკოლის ოთახში აქა-იქა კუთხეებში ეყარა ნ. ბარათაშვილის ახლად გამოცემული თხზულებები. სტოლზედ კანცელარიის დავთრები ეყარა და მათრახები, ნაბდის და ბუხრის ქუდებთან. შკოლის მოაჯირზედ ცხენები იყვნენ გამობმულნი. შკოლაში ჩაფრებს და გამომძიებელს ბ. ნ. ეძინათ. მაზნეველია, თუ სასარგებლო შკოლის გაწყობილობისთვის სასოფლო კანცელარიების, გამამძიებლების კამანდების შკოლების ოთახებში ჩაყენება? ამაში სასარგებლო არა ჩანს რა; იქნება მსწავლებელი და მისი ხელმძღვანელი სასიამოვნოთ ჰსთველიდეს ამ გვარ გამომძიებლების ყოფას?

ბოდბელი

მწერლობა

ჩერქეზების გადასახლება

ერთი შესანიშნავი წიგნი გამოვიდა ამას წინათ ნემეცურს ენაზე კანრიცის—„დუნაი-ბოლგარია და ბალკანი.“ ჩვენთვის შესანიშნავია ეს წიგნი მით, რომ ავტორი საქმის ცოდნით ლაპარაკობს ჩერქეზების გადასახლებაზე.

თუმცა ჩვენ ხელშიდ არა გვაქვს ეს წიგნი, მაგრამ რაც კი მოყვანილია ამ წიგნიდამ გაზეთებში, და განსაკუთრებით „მოსკოვის უწყებების“ № 207 ნომერში, ისიც ნათლათ უჩვენებს მკითხველს—საქმის გარემოებას.

ავტორი აგვიწერს იმ დროს, როცა ჩერქეზები სტოვებენ თავიანთ სამშობლოს, მამულს და მიეშურებიან.... ვინ იცის საითკენ?!..

„დეკემბერში, 1863 წელს, იგრიალეს ჩერქეზებმა და დაეშვნენ შავის ზღვის ნაპირებისაკენ მამა-კაცნი და დედა-კაცნი, ჩჩვილნი და უსუსურნი, ძუძუს-მწოვარნი — ყველანი მიდიან ახალს საშობლოში!..პირუტყვთ ბლავილი დაძალლთა ყეფა წინაუძღვის მათ.

ამგვარად 1864 წელში ათს იელისს ჩერქეზები რიცხვით ორას-ოცდა-თექვსმეტი ათას მეიდას თერამეტი სული (236,718) გაჰნდნენ შავის ზღვის ნაპირებზე, მცირე-აზიაში. ბევრი მათგანი შავი ზღვის ტალღების მსხვერპლი შეიქნა.

ოსმალეთის ევროპაში ჩერქეზების რიცხვი 1864 წელს შეიცავდა ორასი-ათას სულს (200000). ამ აუარებელს სიმრავლეს ალაგი არ ჰქონია ოსმალოს მმართებლობისაგან წინათვე ნაჩვენები, სადაც დამყარებულ იყვნენ; და ამგვარად ყოველგვარ ლონის-ძიებას მოკლებულნი, უსახლ-კარონი დიდს ხანს შესცქეროდნენ თავის ბედის ვარსკვლავს. „შიმშილი იყო მათი სტუმარი, სიკვდილი იყო მათი მოძმე, მოთქმა მათი გალობა!...“

ეს სურათი ჩერქეზების მაშინდელ მდგომარეობისა.

დაუმატოთ ამას დოქტორის ბროცის სიტყვები ამავე საგანზე:

„უნუგეშონი, არაევთარ ეგვიპტურ ზომის არა მექონნი, მშრალნი და მწყურვალენი, ჰხდებიან ავათ ყვავილით, სახადით და იხოცებიან. ყოველ სახლში უთუოდ ერთი ავათმყოფი მაინც არის და ზოგიერთი სახლობა სულ კი ამოწყდა. ავათმყოფებს შიშველს მიწაზე სძინავთ. მიცვალებულნი აღარ ისაფლავებიან და მძორი მათი მათთანვე იხრწნება თვალთ წინ. ტრაპიზონში ოცდა-ათი ათასი სულიდამ ოთხასი მაინც კვდება დღეში!...“

ეს სურათი ჩერქეზების გადასახლებისა, რომელსაც წარმოგვიდგენს ჩვენ ეს უცხო ქვეყნის კაცი.

უცხო ქვეყნები

ოსმის ამბავი. რვა დღის განმავლობაში ოსმის ამბავზე ვერაფერს ვერ შეიტყობთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რვა დღეს ე. ი. ამ თვის 16-დამ ვიდრე 24-მდი დროებით მორიგება ჩამოაგდეს მებრძოლთ ოსმალებსა და სლავიანებს შუა.

ადვილად შესაძლებელია, რომ ამ დროებით მორიგების შემდეგ, სრული მორიგება მოხდეს, თუ ოსმალეთი დათანხმდა თავის მძიმე პირობების შემსუბუქებას; მაგრამ თუ ხელახლად კიდევ დაიწყო ბრძოლა, მაშინ კი, უეჭველია, უფრო ცხარი და, ვინიცის, იქნება უფრო დიდი შეტაკება მოხდეს და ეგებ ამ მებრძოლთ სხვა სახელმწიფოებიც ჩაერიონ. მაგრამ მომავალზე ნურას ვიტყვით, ახლანდელ დროში წინასწარმეტყველობა ადვილი არ არის.

ნარევი

„ეხენს ვერა დაკლო რა, უნაგირს წაუშინაო!... სწორეთ ასე დამართა ერთს კაცს ს—ის უეზდში.

მეზობელმა თავის მეზობლის ცოლი შეიყვარა. ეს ქმარმა შეიტყო; წავიდა და თავის მოწინააღმდეგეს ცოლს ცემა დაუწყო; ერთი კეტი დაჰკრა თავ-პირში ისე, რომ კანალამ საწყალ დედაკაცს ცხვირი ამოვარდება. ბოლოს სოფელში შერიგებით გაათავეს ეს საქმე.

* * *

ამ თვის 14-ს ტურინში გაიხსნება ექიმების კონგრესი, რომელზედაც, იტალიელ ექიმებს გარდა, ბევრი უცხო ქვეყნელი ექიმებიც დაესწრებიან დასხვადასხვა საექიმო საქმეებზე, ავათმყოფებზე და სხ. მოილაპარაკებენ. ამ კრებებზე, სხვათა შორის, მედიცინის ინსტრუმენტების გამოფენაც იქნება გამართული.

* * *

ოცი მწყალობელი ჰყავს პარიჟის ღარიბ ხალხს: გაფრანცუზებული ინგლისელი რიჩარტ ვალლასი და ქალი ფურტადო. რ. ვალლას წელიწადში მილიონ ასი-ათასი ფრანკი (ოთხასი ათასი მანეთი) აქვს წელიწადში შემოსავალი; ფურტადოს კი თითქმის ოთხი იმოდენი (ოთხი მილიონი), რადგან ოთხმოცი მილიონი შეძლება აქვს. ეს ორი პირი თავის წლიურ შემოსავლის თითქმის ნახევარს პარიჟის ღარიბებისათვის სწირავენ და სხვა და სხვა შკოლებსა და თავშესაფარ სახლებს მართავენ. ვალლასის პატარ-პატარა შადრევნები, პარიჟის ქუჩებში, ყველას გაგონილი აქვს....

* * *

Italiis ერთს პატარა ქალაქში — Ca-rrara-ში აგვისტოს 25 უდღესასწაულებიათ გამოჩენილი იტალიელი პატრიოტისა და მწერლის პელლეგრინო Rossis დღობა. Ამ დღეს უკურთხებიათ Rossis სახსოვრად აგებული ძეგლი; დიდძალი ხალხი დასწრებია და ზოგიერთ ორატორებს სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც აქებდნენ Rossis თავგანწირულებას და მამულიშვილობას.

განცხადებანი

ენკენისთვის 6-ს გარდაიცვალა თფილისის მოქალაქე **ივანე მიკირტუმას ძე ტერ-ნიკოლოსოვი**; მიცვალებულის ძმანი და მეუღლე სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, პატივი სცენ და მოგრძანდნენ განსვენებაზედ მიცვალებულისა მიცვალებულის სახლში, ჩულურეთში, წმინდა ღვთის-მშობლის ეკკლესიის პირდაპირ, ენკენისთვის 11-ს, შაბათს დღეს, დილის 10-ს საათზედ.

დასაფლავების წესი გარდაიხდება ვანქის სობოროში.

დედა ენა

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან, გამოვიდა სტამბიდგან და ისყიდება პარტო კამისიონერი სოლოდონ ვართანოვის მაღაზიაში. წიგნში ჩართულია მრავალი სურათები, სივრცე აქვს რვა თაბახი და ღირს ექვსი შაური. მაგრამ სასწავლებლებს, რომლებიც იყიდიან ერთათ ათად ფულზედ ოც-და-ათს, ან მომეტებულ ეგზემპლიარსა და კერძო პირებს, რომლებიც ერთათ წაიღებენ ასს, ან მოქეტებულ ეგზემპლიარსა, დაითმობათ ეგზემპლიარი ხუთ შაურათა. Imavе მაღაზიაში ისყიდება ყოველ-გვარი ქართული, რუსული და სომხური სახელმძღვანელოები.

წალკოტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.



Ათასი პირი, ქალი და კაცი თავისებს მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ჭარობაში შემოტანილ ისრეთ წოდებულ **მცენარეულგვითს ქინო-ბლიცერინის პომადისა**, რომელსაც თმა ამოჰყავს. **ეს პომადა** უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობისმცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა ლანდგერიტეტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. ძლეიჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლებილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

Ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ Rusეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

Ყოველ ბანკთან არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

პ ო მ ა დ ა „PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება **თფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში**, სასახლის ქუჩაზე, **Aro**წრუნის ქარვასლაში, **ვლადიკავკაზში** — სეგალთან და **სტავროპოლში** ქურილლადაც. ჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა ამ მოყვანილი ნივთებიცა.

ეს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტა ხნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულიად იაკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამინის სიცხოველე ეძლევა. Ყველაზე უფრო ეს პომადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი ძლეიჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

Ყოველ პომადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, Ამფორის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. Yidevis დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პომადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.



ხ ე ლ ი ს პ ო მ ა დ ა

ეს პომადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი — ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი — საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—33

ამერიკის კბილის ექიმი

დოქტორი ი. ვალტერი

Romელიც მუდამ მოსკოვში სცხოვრებს

მოვიდა თფილისში და მიიღებს ავათმყოფებს (პაციენტებს) ხელოვნებითი კბილების ჩასაყენებელად უპრუჟინოთ, რადგან პრუჟინა საჭმლის ღეჭას უშლის, როცა საჭმელი პრუჟინასა და ყბას შუა ჩავარდება; ამის გამო მე არავის არ ურჩევ, რომ პრუჟინიანი კბილები ჩაისვან, არამედ გაიკეთონ ჩემგან ახალად გამოგონილის სისტემით — რბილის ბოლოთი.

Არ ურჩევ აგრეთვე კაკვიან კბილების ჩ ყენებასა, რადგან ამით მთელი კბილებიც ფუჭდებიან.

Ვურჩევ ყველას, რომ კბილებს ნუ ამოიძრობენ, რადგან ეს ყბის ძვალს აფუჭებს; როცა კბილმა გაფუჭება დაიწყოს, ოქროსა ანუ პლატინის პლომბით უნდა გაიკეთოთ, რომელიც ინახავს და არ აფუჭებს კბილს.

მაქვს ახალი, ახლად — გამოგონილი საშუალება კბილების დასაცველად და აგრეთვე ეიცი წამალი, რაც უნდა ძალიან სტკივოდეს ვისმე კბილები; ეს წამლები განუხილავს მედაცინის დეპარტამენტს. Ახალ მოგონილ ხელოვნებითი კბილებისა და პლომბის მინუშები მსურველს შეუძლია ჩემთან ნახოს.

ხელოვნებით კბილების მუშაობა 24 საათში თავდება. **პაციენტებს მივიღებ ჩემს სახლში: სასახლის ქუჩაზე, სარაჯევის სახლებში, Bujdos მაღაზიის ზემოდამ.**

ღარიბებს მუქთად ვარჩენ ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 8 საათიდამ დილისვე 10-მდინ. (2—1)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Tფილისი .	9	36	4	54				
Mცხეთა. . .	—	—	—	—	1	68	-	38
Bორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
Bეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
Uვირილა .	—	—			5	81	3	23
Mუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
Aხ.-Sენაკი .	—	—			8	57	4	76
Pოთი. . .	11	44			9	75	5	42
Pოთი . .	8	40						
Aხ.-Sენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
Mუთაისი .	11	51			3	4	1	69
Uვირილა. .	—	—			3	98	2	21
Bეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
Bორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
Mცხეთა . .	—	—			9	8	5	4
Tფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) Pოთიდამ მიდის:

Oდესისკენ — შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) Oდესსიდამ:

Pოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 საათ.

სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

Pოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
Qერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
Tაგანროგ.	34	„	27	„	8	60
Oდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
Oცი სიტყვა Tფილისიდამ:		
Mუთაისს, Pოთს . .	1	—
Bორს, Dუშეთს, Sილნახს		50
Rოსტოვს Oდესას მოსკოვს	2	—
Pეტერბურგს, Vარშავას . .	2	—
Oსმალეთში, Sვეიცარიაში	3	—
Iტალიაში და Sაფრანგეთში.	3	50
Iნგლისში.	3	75

ფოსტა

ა) Tფილისიდამ:

Sამზღვარ გარეთ, Mუთაისს, Rუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. Zუგდ. ოთხშ., Oზურგეთს — პარასკ- და ორშაბ. Bაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. Kახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) Mუთაისიდამ:

Tფილისისა და Pოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. Oზურგეთს — ორშ. და პარასკ. Zუგდიდს — ოთხშაბ.

გ) Bორიდამ.

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) Pოთიდამ:

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა Rუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
Lია წიგნის	4
Dაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

Bირჟა

Pეტერბურგი, 3 სექტ.

Eრთი მანეთი ღირს:

	მან.	კაპ
Lონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
Pარიჟში $331^1/_2$ სანტიმი.	—	89
Mსკონტი (სარგებლისფასი)	6	—
Bანკის ბილეთი $5^0/_0$	99	25
Mოგებიანი (პირველისსესი)	197	25
Mოგებიანი (Mეორე სესი)	193	25
Bირაოს ფურცლები:		
Tფილ. საზნ. ბანკისა.	90	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	—
Mოსკოვის ($5^0/_0$). . . .	91	25
Aქციები:		
Oდესის სავაჭრო ბანკის	164	—
Pოთი-Tფილ.რკინ. გზის	139	50
Mაციზღვის ცეცხ. გემების	530	—
Kავკაზის და Mერკურის. .	208	50
Pირე. საზღვევ. საზოგ.	732	—
Pეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
Mოსკოვის საზღვევ. საზ.	260	—

Mაზანდა

Tფილისი, 9 სექტ.

	მან	კაპ
Pური Sორაგალის ფთ.	—	80
Eერი ფუთი. . . .	—	60
Bამბა Eრევნისა, ფუთი .	5	50
— Aმერიკისა, ფუთი. .	6	30
Bაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
Mატყლი თუშური ფთ .	7	50
— Tარაქამისა ფთ. .	7	50
Aბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
Kონი, ფუთი. . .	4	—
Kონის სანთელი ფუთი.	5	60
Sტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა. ლიტ.	—	45
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	50
Sპირტი, ვედრო. . .	6	60
Sაქარი, ბოლ. ფუთი .	6	80
— ფხვნილი ფუთი . .	5	70
Uავა გრგვალი ფუთი .	19	—
Zეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
Oქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	6	25

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Сентября 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.